დაგელოცოთ მარჯვენა, ენგურჰესის სახელოვანო მშენებლებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგილოცავენ შრომაში გამარჯვებას, ახალ წარმატებებს გისურვებენ თქვენს დიდ და საპატიო საქმეში.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

პროლეტარებო ეგელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 27 (13421) | ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ თქვენ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს შრომითს გამარჯვებას — მდინარე ენგურის კალაპოტის გადახიდვას და თაღოვანი კაშხალის მშენებლობის სამუშაოთა დაწყებას. გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს დიდ და საპატიო საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ენგურჰესელთა პირველი გამარჯვება

მსოფლიოში ყველაზე მაღალი თაღოვანი კაშხალის მშენებლობის მოედანი ყოველდღიურად ფართოვდება. ენგურჰესის სახელოვანი კოლექტივი დაუღალავად შრომობს ამ უნიკალური და მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაგებობის ვადაზე ადრე დასამთავრებლად. აქ ყოველდღიურად ახალ შრომითს გამარჯვებას აღწევენ მთებსა და მიწას შეჭიდებული ადამიანები, რომელთა შრომას კიდევ უფრო მეტ სიხალისეს და ენერგიას მატებს სამამულო ტექნიკა — დიდძალიანი მიწისქვეშა და მიწისზედა ექსკავატორები, 50 კუბმეტრი მიწის ტევადობის თვითსაცლელი ბანქანები და სხვა ძლავრი მექანიზმები. ყველა ამ მანქანას საბჭოთა მარკა ამშენებს. მათს სიმძლავრეს ზედმიწევნით სრულად იყენებენ ენგურჰესის მშენებლები. იყენებენ, და წარმატებასაც აღწევენ.

თაღოვანი კაშხალის მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო იყო მდინარე ენგურის დინების მიმართულების შეცვლა. ამისათვის საჭირო გახდა 520 მეტრი სიგრძის, 16 მეტრი სიგანისა და ასეთივე სიმაღლის სამშენებლო გვირაბის გაყვანა, რათა ენგური ძველი კალაპოტიდან გვირაბში გადაეშვათ და კაშხალის მშენებლობის მოედანი გაეთავისუფლებინათ წყლისაგან. და აი გვირაბმშენებლებმა ვადაზე შეასრულეს ეს მეტად საპატიო დავალება.

მთის შუაგი მდინარე ენგური ახლა გვირაბში მიედინება.

ამ სამუშაოს შესრულებაში თავი ისახელა კაშხალმშენის სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ნოდარ ემუხვარი უძღვება. გვირაბის გაყვანაში დიდი შრომითი წვლილი მიუძღვის ამ სამმართველოს მთავარ ინჟინერს ივანე ბაბუნიას, უბნის უფროსებს ვლადიმერ ბარბაძეს, აკაკი უბრეველიძეს, ოსტატებს ომარ გლიაძეს, ილია ასლანაზოვს, სპირიდონ ვასანელოვს, გრიგოლ ნიშუტას, სერგო ყურაშვილს და მრავალ სხვას, რომელთა ყოველდღიური შრომა დიდებით არის მოსილი.

გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი მშენებლობის მიმდინარეობაზე ესაუბრა ტრესტ „საქიდროენერგომშენის“ მმართველს ამხ. ვ. ნიშარაძეს, რომელმაც აღნიშნა:

— როცა ენგურჰესის მშენებლობაზე ელაპარაკობთ, მინდა პირველ რიგში ვაცნობო გაზეთის წაკითხველებს, რომ მისი პროექტის ავტორია ქართველი ინჟინერი ირაკლი ამირაჯიბი, ხოლო მშენებლობას ძირითადად წარმართავენ ჩვენი სპეციალისტები. გალის, წალენჯიხისა და ზუგდიდის რაიონების მშრომელები აქტიურ დახმარებას უწევენ მშენებლებს შრომაში. საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელოვანი არმია, რომელიც მშენებლობაზე მოვიდა, ნამდვილ შემოქმედებითს შრომას ეწევა და მოწინავეთა რიგებშია.

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველმა წარმოდგენა რომ იქონიოს ენგურჰესის მშენებლობის მასშტაბზე, მოვიყვან ასეთ შედარებებს. ბრაზილიის ელექტროსადგურის მშენებლობისას შესრულდა 7,5 მილიონი კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები, კრასნოიარსკის ჰესის მშენებლობაზე კი 4,8 მილიონი. ენგურჰესის მშენებლობაზე საჭიროა გაწეულ იქნას 26 მილიონი კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები, მათ შორის მიწისქვეშა გვირაბების გაყვანაზე — 3,8 მილიონი. ბეტონის სამუშაოები 5 მილიონ კუბურ მეტრს გადააჭარბებს. ენგურჰესის მშენებლობაზე ყოველდღიურად იხარჯება 1.500 ტონა ცემენტი, 2.000 კუბმეტრი ქვიშა და 5 ათასი კუბმეტრი ხრეში.

ენგურჰესი, რომელიც დენს მიაწვდის ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს, თავისი სიმძლავრით სამჯერ მეტი იქნება დნეპრის ელექტროსადგურზე და მოგვცემს 50-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ზაკესი იძლევა.

ძირითად ელსადგურს გარდა უნდა ავაშენოთ ოთხი ვარდნილეხი.

პირველი გამარჯვება სასახელოა.

ენგურმა მიმართულება იცვალა. იგი მხრებშებოჭილი მიედინება 16 მეტრი სიგანის სამშენებლო გვირაბში. კაშხალის მშენებლობის მოედანი თავისუფალია. ახლა მშენებლებმა ახალ ზღუდეებს შეუტიეს.

კაშხალის მშენებლობის მოედანზე დაიწყო ქვაბულის მომზადება. ქმნიან პირობებს საძირკვლის ამოსაყვანად, რომლის სიღრმე 60 მეტრი იქნება, სიგანე კი 70 მეტრი. მეტად სერიოზული სამუშაოა მთის ფერდობების ჩამოწმენდა, სადაც კაშხალის განიერი არწივისებრი ფრთები ღრმად უნდა, შეეჭარდოს კლდის ფერდობებს. აქ უნდა შესრულდეს 3,6 მილიონი კუბმეტრი მოცულობის კლდის სამუშაო, მიწისა კი — 1.5 მილიონი კუბმეტრი. ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ დაიწყებთ თაღოვანი კაშხალის საძირკვლის დაბეტონებას, შემდეგ კი ბეტონის ტანის მშენებლობას.

ენგურჰესის მშენებლებმა იანვრის დავალება 101 პროცენტით შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მოცულობა წელს ორჯერ მეტია, ვიდრე შარშან იყო. მაგრამ ეს როდი აფიქრებთ სახელოვან ადამიანებს.

მშენებლები თავიანთი თავდადებული შრომის ყველა მიღწევას უძღვნიან სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას, ცდილობენ ასახელონ დედა-სამშობლო.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. შენდება 350 კილომეტრი სიგრძის კეთილმოწყობილი მოასფალტებული გზები. უახლოეს ბანში დამთავრდება რკინიგზის სრული ელექტროფიკაცია. გაშენდა 14 დასახლებული პუნქტი ლამაზი საცხოვრებელი შენობებით. ჯვარი, საბერიო, რეჩხი და გუდავა ქალაქის ტიპის დასახლებებად გადაიქცნენ. ენგურჰესის მშენებლებმა უკვე მიიღეს 70 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, კეთილმოწყობილი კლუბები, აბანოები, სასადილოები, სკოლები და სხვა ნაგებობანი. მოწყობილია ცენტრალური გათბობა, მცხოვრებლები სარგებლობენ გაზით. საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაგებობათა მშენებლობა წელს კიდევ უფრო გაიზრდება.

ენგურჰესის მშენებელთა სახელოვანი კოლექტივი მზად არის შეასრულოს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უველა დავალება.





ენგურჰესის მშენებლებმა სამშობლოს მოახსენეს, რომ ენგურმა კალაპოტი შეიცვალა და ახლა სამშენებლო გვირაბში მიედინება. სურათებზე (მარცხნიდან) მდინარე ენგურის გვირაბ ში გაშვების მომენტი; მდინარე გვირაბში მიემართება. მესამე სურათზე კი აღბეჭდილი არიან ენგურჰესის მოწინავე მშენებლები ნ. ჭყონია, ნ. ანანია, ო. ლარსელია და ს. ბექოევი.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა) და რ. ტიტიშვილისა.

მეათასე ელმავალი

1 თებერვალს თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროში გაიმართა მეათასე ლოკომოტივის გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი.

მიტინგის პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. გომელაური, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე, პარტიის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი დ. გ. აბუთიძე, მოწინავე მუშები. მიტინგი გახსნა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ღვალიძემ.

ხიტყვა წარმოთქვა ქარხნის დირექტორმა გ. სამხარაძემ. მან ილაპარაკა იმ გზის შესახებ, რომელიც ქარხნის კოლექტივმა გაიარა 1957 წლის დეკემბრიდან, როცა გამოუშვეს პირველი ელმავალი „ვლ-8“.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს კომუნისტური შრომის დამკვრელმა, ქარხნის საამწყოობო საამქროს ზენაჯალმა ი. გელაშვილმა, მთავარი კონსტრუქტორის განყოფილების ინჟინერმა რ. ელბაქიძემ, პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. აბუთიძემ, ელექტრომანქანების საამქროს ოსტატმა ა. ლომიძემ, სამეფადო საამქროს უფროსმა ე. გელაშვილმა, ქარხნის მთავარი ტექნოლოგის მოადგილემ ბ. ნანიმ, გზათა სამინისტროს უფროსმა ინსპექტორმა ლ. ორმოცაძემ და სხვ.

მეათასე ელმავალი გაიგზავნება დასავლეთ ციმბირის რკინიგზის ბელოვოს დეპოში. (საქდესი).

ოფიციალური ვიზიტით

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1 თებერვალს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ავღანეთის პრემიერ-ინჟინერი მუჰამედ ჰაშიმ მეივანდვალი, ერთკვირიანი ყოფნა აეროდრომზე. რომელიც ადგილზე იყო ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, საპატიო სალუტარის შეხვედნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ფერემოვი და სხვა ოფიციალური პირები. (საქდესი).

ფრანსირანული გაზსადენი

კიევი. (საქდესი). კიევის გაზის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს დაევალა დაპროექტოს ტრანსირანული გაზსადენი, რომელიც ერთვა კიევის საგზაო კავშირისა და ირანის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის მოსკოვის შეთანხმების შესაბამისად.

ტრასაზე უკვე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები. დაპროექტებისა-თვის. გათვალისწინებულია მშენებლობა 1970 წელს დამთავრდეს.

მთავრობის ჯილდოების გადაცემა

31 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მთავრობის ჯილდოები და სიგელები საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ გადაეცათ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, ოთხლასჩინო მეცნიერებს, ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიულ, საბჭოთა მეშაკებს, ოპერატორებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაკაძემ განაცხადა, შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ს. ძოწენიძემ შრომის წითელი დროშის** ორდენი გადასცა ახალციხის რაიკომკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს **გ. თ. მუშლაძეს.**

„საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღეს თელავის რაიკომკავშირის უნიკერმაღის სექციის გამგემ **ბ. ი. ღვინიაშვილმა,** აფხაზეთის კომკავშირის ინჟინერ-ტექნოლოგმა **კ. ს. დავითულიანმა,** ჯავის სამმხმარებლო რაიკოოპერატივის უნიკერმაღის უფროსმა **გ. ფ. ფიდოსეევმა** მარქსიზმის იდეების გავრცელების საქმეში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ვიატკის ორგანიზაციის შექმნისათვის დიდი შრომა გასწიეს აქ მყოფმა პოლიტიკურმა გადასახლებულებმა, პროფესიულმა რევოლუციონერებმა **ფ. ე. ძერჟინსკიმ, ნ. ე. ბაუმანმა, ვ. ვ. ვოროვსკიმ, პ. ი. სტუჩკამ** და სხვებმა.

წიგნში გაშუქებულია **ს. მ. კოსტრიკოვის** (ციროვის) რევოლუციური საქმიანობის პირველი წლები.

(საკდესის კორ.).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

31 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ განაახლა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვა. დაბომბილია ქალაქები დონგ-ჰოი და ვინი, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტები.

ჩრდილოეთ ვიეტნამის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე ამერიკის ავიაციის თავდასხმების განახლება და ამავე დროს სამხრეთ ვიეტნამში საომარი ოპერაციების ფართო მასშტაბით გაჩაღება კიდევ უფრო ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც ესწრაფვის ომის შეწყვეტას ვიეტნამში, ამ დღეებში კვლავ განაცხადა, რომ სურს სამართლიანად გადაიჭრას ვიეტნამის პრობლემა, როგორც ეს შეესაბამება ვიეტნამელი ხალხის ინტერესებს, იანვრის დამლევს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰმ. ხო ში მინმა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც განაცხადა, რომ, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მართლაც სურს მშვიდობიანი მოწესრიგება, მან უნდა ცნოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 4 პუნქტისაგან შემდგარი პოზიცია, და კონკრეტული ღონისძიებებით დაადასტუროს ეს; მან საბოლოოდ და რაიმე პირობის წამოუყენებლად უნდა შეწყვიტოს დაბომბვა და ყველა სხვა საომარი აქტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მხოლოდ ამგვარად შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ვიეტნამის საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა.

ამერიკის ავიაციამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავდასხმები რომ განაახლა, მაშინ როცა ორი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ამ სახელმწიფოს მეთაურმა ახალი ინიციატივა გამოიჩინა, მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სინამდვილეში არა სურთ შეწყვიტონ ომი ვიეტნამში, ხოლო მათი ეგრეთწოდებული „სამშვიდობო ინიციატივა“ წარმოადგენდა დიპლომატიურ ხერხს, რომლის მიზანი იყო მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტირება და ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის შემდგომი გაფართოების მომზადება.

მართლაც, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ მიაღწიონ მშვიდობას, როგორც ამას აცხადებენ, განა დაბომბვის განახლება ისეთი ატმოსფეროს შექმნის მეთოდია, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკურ მოწესრიგებას ვიეტნამში? როგორც უნდა იყოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეფასება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციისა, ორფრონტ არ შეიძლება გავამართლოთ აგრესიის ახალი აქტები, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ადამიანური მორალის ელემენტარულ ნორმებს.

ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის მთელი პროგრესული კაცობრობის ღვიძილი ნაწილია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყველა სოციალისტური ქვეყნის, მსოფლიოს მთელი ანტიიმპერიალისტური და პროგრესული ძალების ღონისძიებათა გაერთიანებას მებრძოლი ვიეტნამისათვის დახმარების გასაწევად. საბჭოთა კავშირი, რომელიც თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერგულია, კვლავაც საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას გაუწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

თავს ნუ იტყუებენ ამერიკის შეერთებული შტატების ის წრეები, რომლებიც პასუხს აგებენ ვიეტნამის ომისათვის. ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის ახალი აქტებისათვის! ისინი ვერ გატეხენ ვიეტნამელი ხალხის ნებისყოფას, მის მტკიცე გადაწყვეტილებას დაიცვას თავისი სამშობლოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა. ერთი ანამა, არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ უთუოდ დამარცხდება ამერიკის აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ; გაიმარჯვებს სამართლიანი საქმე, რომელსაც გმირულად იცავს ვიეტნამელი ხალხი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ხაზარმოო გამარჯვებებით შეეხვდეთ სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას

საქართველოს სამრეწველო საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივის ინიციატივით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება სკკპ და საქართველოს კომპარტიის მომავალი ყრილობების აღსანიშნავად.

საქართველოს მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას, რომლებმაც დაიწყეს მოძრაობა ლითონების, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები სამეურნეო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და რამიმგზებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების ძირეულ ორგანიზაციებთან ერთად აწყობენ ნაწარმის ტექნიკური დონისა და ხარისხის, სამედეგობისა და ხანგამძლეობის საზოგადოებრივ დათვალიერებას, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინების რეიდებს. პროფკავშირთა კულტდაწესებულებებში ეწყობა მრეწველობის ნოვატორების, წარმოგბის ვეტერანების შეხვედრები, მოწინავე გამოცდილების გაზიარების საღამოები.

სკკპ XXIII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობასთან დაკავშირებით მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შესახებ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს მოახსენა პროფსაბჭოს მდივანმა ვ. ღოღობერიძემ. ამასთან პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ პროფკავშირულ ორგანიზაციებს ნაკლოვანებანი აქვთ საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში. ქუთაისის ლითონფონისა და ბათუმის ელექტროტექნიკურ ქარხნებში, რუსთავის ქიმიურ კომბინატში, ცხინვალის ხეტყის კომბინატში, თბილისის ფოლად-თუჯხამსხმელო ქარხანასა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში სუსტად არის გაშლილი ინდივიდუალური შეჯიბრება მუშებს შორის. წარმოების რეზერვები ყოველთვის როდი მჭიდება ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებით.

მეტალურგიული მრეწველობის, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშების პროფკავშირის ტერიტორიული კომიტეტი და სხვები დამაკმაყოფილებლად არ ხელმძღვანელობენ საყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებას.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას გააძლიერონ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ხელმძღვანელობა, რათა ფართოდ გაიშალოს შეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შესვლისათვის, მიაღწიონ იმას, რომ ყველა სამრეწველო საწარმომ შეასრულოს პროდუქციის ნარეისის გაფართოების ვალდებულებანი. (საქდესი).

მეგობრული შეხვედრა

მოსკოვი, 1 თებერვალი. (საქდესის კორ.). დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის, „სსრ კავშირ-საფრანგეთის“ საზოგადოებისა და „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების ხელმძღვანელთა წარმომადგენლები.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, საფრანგეთის — „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრი ანდრე ბლუმელი და როლან ლეროა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ამ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრის პროგრამაშია საზოგადოებათა თანამშრომლობის 1966-1967 წლების გეგმის განხილვა და ხელისმოწერა, საუბრები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებაში, მოსკოვის ამ საწარმოთა დათვალიერება, რომლებიც სსრ კავშირ-საფრანგეთის საზოგადოების კოლექტიური წევრები არიან.

ვალდებული ცხოვრება

ალვზარდოთ იდეური ადამიანი!

• დელეგატის ჩანაწერები •

იდეური ადამიანი! ამას ჩვეულებრივად ამბობენ მუშაკზე, რომელიც ყველაფერს აკეთებს საკუთარი გულისწადილით და არასოდეს არ გადაუხვევს თავის კომუნისტურ შეხედულებებს.

კომუნისტების სული და გულია იდეური რწმენა. იგი შესანიშნავი ლენინური ხასიათია. ტრიბუნაზე ასეთ ადამიანთა გამოსვლებიც თავისებურია, სიტყვები საზრიანი და მართალი, მგზნებარე და გულშრფილი.

და ნამდვილად გულით ნათქვამი სიტყვები მოისმინეს საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის XII-ე კონფერენციის დელეგატებმა. ჩვენი დედაქალაქის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი თავის პარტიულ ფორუმზე მთელი დღე მსჯელობდა, პრინციპულად აფასებდა რაიკომის მიერ ორი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას და უსახავდა მომავალ ამოცანებს ახლად ასარჩევ პარტიულ კომიტეტს. სუთასზე მეტ დელეგატთა შორის აკადემიკოსი იყო 8, პროფესორი — 43, მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი — 111.

ყველაზე მთავარი და არსებითი საკითხი, რომლის გარშემოც მიმდინარეობდა სჯა-ბაასი, ერთი იყო: ჩვენი დროის შესაფერისი ადამიანის, მაღალიდეური ადამიანის აღზრდა. სწორედ აქეთკენ იყო ძირითადად გამახვილებული ყურადღება პარტიის რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა რაიკომის პირველმა მდივანმა ა. კარანაძემ, და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებში.

დელეგატებმა ერთხელ კიდევ გაუსვეს ხაზი მშრომელთა პოლიტიკური აღზრდის, კომუნისტურ მშენებლობაში მათი შეგნებულობისა და აქტივობის ამაღლების მძლავრი საშუალების — რევოლუციური თეორიის სწავლის მნიშვნელობას. საანგარიშო პერიოდში პარტიის რაიკომი დიდ ყურადღებას უთმობდა კომუნისტების, ყველა მშრომელის პოლიტიკურ განათლებას. ახლა რაიონის პარტიულ ორგანიზაციათა პოლიტიკური განათლების სისტემაში მეცადინეობს 10.569 კაცი.

მეცადინეობის პირველი თვეები მოწმობს, რომ პარტიული განათლების სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბჭოთა ადამიანების, თვითეული კომუნისტის მისწრაფებებს და უკვე თავისი შედეგები მოაქვს. განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის, პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის თეორიის საკითხების შესწავლა, როცა იგი დაკავშირებულია პრაქტიკასთან, საწარმოთა კოლექტივების ამოცანებთან.

წინა წლებისაგან განსხვავებით ახალ სასწავლო წელს კომუნისტები უფრო მეტად ზრუნავენ მეცადინეობის იდეური დონისათვის, შემოქმედებითად უდგებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას, შეძენილ ცოდნას მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას. პროპაგანდისტები ცდილობენ კონკრეტული საქმეებით აჩვენონ, თუ როგორ ისხამს ხორცს ცხოვრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის დ შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი.

ამასთან ერთად კონფერენციამ დელეგატთა ყურადღება მიაპყრო კომუნისტების სწავლებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. მომხსენებელმა გააკრიტიკა შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, სამშობიარო სახლის, № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის, სამტრესტის, ჩაის ტრესტის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებას. ამასთან აღინიშნა, რომ ცალკეულ საწარმოებში, დაწესებულებებში ჩაწილილია მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების საქმიანობა, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი თავიანთი შინაარსით ჯერ კიდევ ვერ უპასუხებენ ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის მოთხოვნებს. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ზოგან კამპანიურ ხასიათს ატარებს.

საბჭოთა დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების, სწავლისა და აღზრდის ერთიანობის, ოჯახისა და სკოლის კავშირის განმტკიცების საკითხებზე ასევე საქმიანად იმსჯელეს კონფერენციის მონაწილეებმა. ამ საკითხებს განსაკუთრებით შეებნენ დელეგატები: ი. ვეკუა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბ. დემეტრაძე — საქართველოს პოლიტეკნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ლ. ბელაძე—მე-60 საშუალო სკოლის დირექტორი, ვ. მელქაძე — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი დ. სხვები.

პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვამ ცოცხალი, საინტერესო და ქმედითი გახადა უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, აამაღლა მათი გრძოლისუნარიანობა. ამან თავისი დადებითი გავლენა იქონია უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის ნაყოფიერებაზე. უკანასკნელად პარტიული კომიტეტებისა და რექტორატების გადაწყვეტილებით ფართოდ ინერგება აკადემიურ ჯგუფებზე პროფესორ-მასწავლებლებთა მიმაგრების პრაქტიკა და იგი უკვე იძლევა თავის შედეგებს. ამ ღონისძიებით უფრო მაღლდება მასწავლებელთა პირადი პასუხისმგებლობა სტუდენტთა აღზრდისა და სწავლისათვის.

სტუდენტის ღრმა მეცნიერული ცოდნით შეიარაღებაში, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების შეძენაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტუდენტის რაბმას სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობაში. ამ მხრივ უმაღლესმა სასწავლებლებმა წლების მანძილზე მდიდარი გამოცდილება შეიძინეს, მაგრამ სამწუხაროა ის არის, რომ ამ სასარგებლო საქმეში დღეისათვის რაიონის სტუდენტი ახალგაზრდობის მხოლოდ მეხუთედია ჩაბმული.

სტუდენტი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მაღალიდეურ დონეზე დაყენებულ სწავლებას. სტუდენტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების ღრმად შესწავლას რომ ვახორციელებთ, საჭიროა მუდამ სრულყოფდეთ თეორიის განუყრელ კავშირს კომუნიზმის მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკასთან, ვასწავლიდეთ სტუდენტებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამოყენებას ცხოვრებაში. მაგრამ ზოგიერთს დღემდე მიაჩნია, რომ სპეციალურ დისციპლინებთან შედარებით მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა მეორეხარისხოვანი საქმეა, რომელიც ყველასთვის არც არის საჭიროებელი. ცხადია, ასეთი მიდგომა შეცდომაა. პრაქტიკამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა საჭიროებელია ყველა დარგის სპეციალისტისათვის.

სტუდენტების, მთელი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში ერთ-ერთი მთავარი ელემენტია შრომითი აღზრდა. იგი ადამიანთა ცხოვრებისა და ყოფის ბევრ მხარეს მოიცავს. შრომითს აღზრდაში იგულისხმება არა მარტო ადამიანის მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში, არამედ მისი სწორი დამოკიდებულებაც კოლექტივში თავისი ამხანაგებისადმი, საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი. იგი ბელადის ფაქტი. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ჩაშლისა და სიფხიზლის მოდუნების შედეგად სახელმწიფო ქონების დატაცებას ადგილი ჰქონდა ლიქორის ქარხანაში. ამ საწარმოს კომუნისტები: ქარხნის ყოფილი დირექტორი ნ. რამიშვილი, წარმოების ყოფილი უფროსი ა. მაჩაიძე, საამქროს უფროსი ი. ვასაძე, საწყობის ყოფილი გამგე მ. კეკელიაშვილი მიცემულია ანიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. დელეგატმა, მილიციის რაიონგაყოფილების უფროსმა დ. ალანიამ თავის გამოსვლაში კონფერენციას მოუთხრო მილიციის კადრების შერჩევაში დაშვებულ ზოგიერთ უხეშ შეცდომაზე და ამის სამწუხარო შედეგებზე.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. სტურუა.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია რწმენა, რომ პირველ-დი პარტიული ორგანიზაციები თვითეული კომუნისტის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების გზით კიდევ უფრო მეტ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

გ. ნაბუყვბია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოების კოლექტივთა პატრიოტული მოწოდების პასუხად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ჩაებნენ თბილისის პატონის სახელობის ელექტროშემდუღებელი ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსი ოსტატი ვახტანგ სიხარულიძე (სურათზე მარჯვნივ) და დამკვრელი ხარატი გიორგი შერგელაშვილი. კომკავშირელმა ახალგაზრდებმა ვალდებულება იკისრეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება შესასრულონ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეღვინეობის მრეწველობას უახლესი მოწყობილობა!

წარმოების დირექტორის ტრიბუნა

მრეწველობის განვითარების დონის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკითხი შეეხება მძიმე მრეწველობის ისეთ წამყვან დარგს, როგორიც არის მანქანათმშენებლობა. ჩვენს დროში მექანიზაციამ მოიცვა სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგი, მანქანური შრომის გამოყენება უკვე დიდი ხანია გადაიქცა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის განმსაზღვრელ ფაქტორად.

ამიტომ არის, რომ მრეწველობაში საერთოდ, ხოლო განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში მთავარ, ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად ითვლება ნაწარმის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონემდე ამაღლება, ამასთან მტკიცე საიმედოობისა და ხანგამძლეობის უზრუნველყოფა.

თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის კოლექტივი, რომელიც უმთავრესად მეღვინეობის მრეწველობაში საჭირო მანქანა-დანადგარების გამოშვებაზე მუშაობს, მხურვალე მოწონებით გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას — განაღდეს სოციალისტური შეჯიბრება უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონემდე საკუთარი ნაწარმის ხარისხის ამაღლებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივს ეს დრო უნაყოფოდ არ დაუკარგავს, დიდი მუშაობა გასწია და საგრძნობ წარმატებებსაც მიაღწია თავისი საქარხნო მარკის ღირსების ამაღლებისათვის ბრძოლაში.

მაგალითად, „ნ-21“ მარკის დგუშიანი ტუმბოს შესახებ, რომელსაც ჩვენი ქარხანა უშვებს, მომხმარებლები აცხადებდნენ, რომ ეს ტუმბოები ხშირად გამოდიოდნენ მწყობრიდან, ფუჭდებოდნენ. ჩვენ შევამოწმეთ ამ დანადგარების მუშაობა ექსპლოატაციის ადგილებზე, რამაც საესებით დაადასტურა მომხმარებელთა გულისწყრომის საფუძვლიანობა. გამოირკვა, რომ ამ მარკის დგუშიანი ტუმბოს მეუფერხებელი მუშაობის ხანგრძლივობა დაახლოებით 40 დღეს უდრიდა. ამ ხნის განმავლობაში მანქანას უცვდებოდა ზამბარისებური სადგუშე ებონიტის რგოლები, მანქანა მწყობრიდან გამოდიოდა. ერთი წლის განმავლობაში მანქანის ექსპლატაციის პირობებში ასეთი შეფერხებათა რაოდენობა უდრიდა 7,7-ს. ეს ამას ნიშნავს, რომ საჭირო ხდებოდა ებონიტის რგოლების გამოცვლა წელიწადში შვიდჯერ მაინც.

ასეთი ვითარების გამო აუცილებელი შეიქნა დგუშის კონსტრუქციის შეცვლა, ებონიტის რგოლების ადგილას რეზინის დგუშის დაყენება, რამაც ოთხჯერ და მეტად გაზარდა დანადგარის საიმედოობა: ახლა ტუმბოს შეუფერხებელი მუშაობის პერიოდი უკვე 180 დღეს შეადგენს, ყოველწლიურ შეფერხებათა რაოდენობამ 7,7-დან 2-მდე დაიკლო.

სასურსათო მანქანათმშენებლობის საკავშირო საექსპერიმენტო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შეისწავლა ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული „3-12“-მარკის ე. წ. მექანიკურთავიანი წნეხები და დადგინა მუშაობაში ამ წნეხების ხშირ შეფერხებათა მიზეზები. დადგენილ იქნა, რომ თეფშისებრი ზამბარები, რომლებიც ამ წნეხებს ხშირ შეფერხებათა მიზეზები. დადგენილ იქნა, რომ თეფშისებრი ზამბარები, რომლებიც აწესებენ საწნეხე მექანიზმის დაწნეხ მასზე დაწოლის ზომიერებას, მწყობრიდან გამოდიოდნენ დრეკადობის თვისების დაკარგვისა ან ნაადრევად დამსხვრევის გამო. რაკი მიზეზი ცნობილი გახდა, მისი დაძლევა დიდ სძალეს არ წარმოადგენდა. დაუყოვნებლივ მიღებულ იქნა ზომები თეფშისებრი ზამბარების უფრო გულდასმითი თერმიული დამუშავების უზრუნველსაყოფად, ხოლო თერმიული დამუშავების ხარისხის გაუმჯობესებას პირდაპირ მოჰყვა ზამბარების ხანგრძლივობის ამაღლება, რაც წნეხების საიმედოობის ამაღლებას უდრის.

რასაკვირველია, ჩვენი საწარმოს კოლექტივს შეეძლო გაცილებით მეტის გაკეთება თავისი ნაწარმოები მანქანა-დანადგარების საიმედოობისა და ხანგამძლეობის ასამაღლებლად. მაგრამ ამ საქმეში დიდად გვაფერხებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმამდე არსებული მანკიერი მეთოდი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირებისა, რაც ნაწარმის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის საწარმოს კოლექტივის ბრძოლას ეკონომიკის თვალსაზრისით მბზარშეეწყრესულ ხდიდა.

საქმე ის არის, რომ საწარმოთა კოლექტივებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ოქტომბერი მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ უფლება მიეცათ მანქანა-დანადგართა ხარისხის გაუმჯობესების გამო, მაშასადამე, საიმედოობისა და ხანგრძლივობის ამაღლებისათვის დაეწესონ მანქანა-დანადგარების საბითუმო ფასის გარკვეული დანამატი. ამ მხრივ ახლა საწარმოებს დიდი შესაძლებლობები აქვთ და თამამად შეუძლიათ ითქვათ ნაწარმის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რადგან ეს მათი ეკონომიკისათვის საზიანო აღარ იქნება.

1966 წლისათვის ქარხნის კოლექტივს დიდი, საპატიო ამოცანა აქვს დაკისრებული. მან უნდა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის მეღვინეობის მრეწველობის აღჭურვა ახალი, უაღრესად თანამედროვე, მაღალწყოფიერი მოწყობილობით. ითქვათ, მაგალითად, 1960 წელს, როცა მოხდა საწარმოს ძირითადი ფონდების გადაფასება, 1 მანეთის საღირაღი ძირითადი ფონდიდან მოგება უდრიდა 31,4 კაპიკს, ხოლო 1965 წელს ამ მაჩვენებელმა უკვე 45 კაპიკი შეადგინა.

თავისთავად ცხადია, რომ საწარმოს რენტაბელობის მაღალ დონეზე ყოფნისა უნდა შეეძლებელია, თუ წარმოების ყველა უბანზე მტკიცედ არ არის დაცული უკანასკნელი მომჭირნეობა. მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელების უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვითითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმიც, და ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა ახალ წამოწყებას.

მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობის პასუხად ჩვენი ქარხნის კოლექტივმა იკისრა 1966 წლის ბოლომდე მომჭირნეობით დაგროვილი მასალებისაგან დამატებით გამოუშვას 20 ათასი მანეთის ახალი, სრულყოფილი, საიმედო და ხანგამძლე ტექნოლოგიური მოწყობილობა ჩვენი მეღვინეობის მრეწველობისათვის.

ჩვენი მანქანათმშენებლების ეს დაპირება ნამდვილად რომ იქნება განადგურებული, ამის საწინდარია ის წარმატებანი, რომლებსაც ისინი წინასაყრილობო შრომითს ვახტზე აღწევენ.

ლ. აივაზოვი,

თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელო ქარხნის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

მეთხუთმეტე...

საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

სოფელი სანიორე მდინარე ლოპოტის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. კოლმეურნეობის ზვრები ფრცლად არის გადაშლილი. ამას წინათ ამ სოფლის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრება იყო.

კოლმეურნეობას მიღებული აქვს პარტიის თელავის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის სამი გარდამავალი წითელი დროშა: მევენახეობაში მიღწეული სიუხვისათვის, მემანდერეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის, მეცხოველეობაში პირველი ადგილის დაკავებისათვის!

კოლმეურნეები სიამაყით შეჰყურებენ გარდამავალ წითელ დროშებს, რომლებიც კულტურის სახლში გამოუფენიათ. სიმამაცეც ამას ჰქვია: რაიონში სამი გარდამავალი დროშაა და სამივე მათ დაუსაკუთრებიათ.

კრება დაიწყო. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ალ. მარგალიტაშვილი წელს მეთოთხმეტეჯერ ამბობს ანგარიშს. მას მოჰყავს ციფრები და ფაქტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის მარტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სიღიდეზე მეტყველებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების გადიდებით სანიორელებმა 122 ათასი მანეთი დამატებითი შემოსავალი მიდღეს.

კოლმეურნეობის ზვრები ორას ოცდაათ ჰექტარზეა გადაჭიმული. აქედან სრულ მოსავალს 134 ჰექტარი იძლევა. არ ყოფილა სამუშაო, რომ სანიორელებს დროულად და ძალიან ხარისხიანად არ შეესრულებინოთ. უამინდობა იყო, მაგრამ მათს სიმეჯინეს ვერაფერი დააკლო, ყურძენის მოსავალი უხვი მოვდა. სამოცი ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 84 ცენტნერი მიიღეს. სახელმწიფოსათვის 933 ტონა ყურძენი უნდა მიეყიდათ, ფაქტიურად 1.134 ტონა მიჰყიდეს. წინა წელთან შედარებით ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება რვა მანეთით გაიაფდა. ზვრებმა კოლმეურნეობას 215.235 მანეთი მოგება მისცა.

— შეიძლებოდა თუ არა მეტი? — სვამდნენ კითხვას მომხსენებელი თუ მოკამათეები და თვითონვე უპასუხებდნენ:

— შეიძლებოდა, მაგრამ...

ამ სიტყვაში ბევრი რამ იყო თქმული. ძირითადი კი ის იყო, რომ ყველა ბრიგადამ თანაბრად როდი იმუშაოთ. პირობები ერთნაირი ჰქონდათ, შედეგი კი სხვადასხვა. ბრიგადამ, რომელსაც ახალგაზრდა აგრონომი ვ. ბაუაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მიიღო. კ. გოგინაშვილის ბრიგადამ კი საშუალო მოსალოდნელობა 81 ცენტნერს ვერ აიცილა. ასე მოხდა იმიტომ, რომ ამ ბრიგადაში სამუშაოთა ხარისხს ნაკლები ყურადღება ექცევა. ყველას რომ ვ. ბაუაშვილივით ემუშავნა, კოლმეურნეობა 96 ტონით მეტ ყურძენს მოკრეფდა. სალაროს 38 ათასი მანეთი შეემატებოდა.

მოკამათეებმა ყურძნის მოსავლიანობის ზრდის სხვა რეზერვიც აღნიშნეს. მათ თქვეს, რომ ვენახებში ვაზის სიმეჭიხრე ათ პროცენტს აღწევს. ვენახები რომ მთლიანად შეიცვლოს, მოსავალი დიდად გაიზრდება.

სანიორელები მემანდერეობაშიც პირველობენ. გეგმის გადამეტებათ საშუალოდ ჰექტარზე სამი ცენტნერი ხორბალი და თერმეტი ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოიყვანეს, მაგრამ მიღწეული მაინც მცირედ მიაჩნიათ. მოკამათეებმა საყვედური გამოთქვეს მესამე და მეხუთე ბრიგადების მოსამართთან, რომლებმაც სიმინდის სათესები დროულად არ მორწყეს.

მეცხოველეობა სანიორეში დიდი ყურადღებით სარგებლობს. კოლმეურნეებმა ბ. აივაზაშვილმა, ა. ჯიქურაშვილმა და სხვებმა მარჯვენა დაულოცეს მეცხოველეებს, რომლებიც სასახელოდ ასრულებენ დავალებას. მათი სიმეჯინეს, ზოოვეტწესების ზუსტად განხორციელებისა და საკვები ბაზის განმტკიცების შედეგად კოლმეურნეობაში მეცხოველეობის სულადობის, პროდუქტების წარმოებისა და დამზადების წლიური დავალება ცხრა თვეში გადამეტებით შესრულდა. გეგმასთან შედარებით 410 ცენტნერით მეტი რძე აწარმოეს. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 97 ცენტნერი რძე, 5 ცენტნერი ხორცი და 2.000 ცალი კვერცხი მიჰყიდეს.

მოკამათეებმა თქვეს, რომ ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია სრულყოფილი არ არის. ზოგიერთი სამუშაო, როგორც იტყვიან, მამა-პაპური წესით სრულდება.

დალოცვილია ალაზნის ველი. ვაზთან და სხვა კულტურებთან ერთად ეფერზეთოვანი კულტურებიც: ყაზალიყის ვარდი, ვერანი და რეპანიც კარგად ხარობს. ხარობს, მაგრამ თავისთავად კი არა, კარგი მოვლით, 2.000 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს 1.230 ცენტნერი რეპანის მწვანე მასა ჩაბარეს. მოკამათეებმა ს. აივაზაშვილმა, ი. მარტიროზოვმა და სხვებმა თქვეს, რომ მეოთხე ბრიგადამ (ბრიგადიერი ვ. გოგინაშვილი) კარგად მოუარა რეპანის პლანტაციას და შედეგიც სასურველი აქვს. ჰექტარზე 143 ცენტნერი მწვანე მასა მოიყვანა. მაგრამ ბრიგადამ, რომელსაც გ. ჯაბაძისშვილი ხელმძღვანელობდა, ჰექტარზე 74 ცენტნერზე მეტი ვერ მიიღო. ჩამორჩენენ სხვა ბრიგადებიც.

მომხსენებელი და მოკამათეები სიხარულით აღნიშნავდნენ, რომ რაც კოლმეურნეობა გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე გადავიდა, სოფელში ყველა კოლმეურნე კარგად მუშაობს. კოლმეურნეობას არც კრედიტორი ჰყავს და არც დებიტორი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს საზოგადოებრივი დოვლათის დატაცება განეზრახოს. შარშან კოლმეურნეობის შემოსავალმა 710.173 მანეთის მიაღწია. ეს სამასკომლიანის სოფლისათვის ცოტა როდია. კაცდღის ხვედრმა 8 მანეთსა და 30 კაპიკს გადაამეტა. კოლმეურნე ა. ჯაბადრიშვილის საშუალო თვიურმა ანაზღაურმა 237 მანეთი შეადგინა, ა. მელიქოვისამ — 232 მანეთი, გ. ჯაზარავისამ — 172 მანეთი, ა. ჯოტიაშვილისამ — 167 მანეთი.

კრებაზე დიდი სკა-ბაასი გაიმართა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე. სანიორეში უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. ამიერიდან კულტურის სახლი, სკოლისა და საბავშვო ბაღის შენობები, მაღაზიები. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია საქმირო. კოლმეურნეებმა დ. აივაზაშვილმა, ა. ჯიქურაშვილმა და სხვებმა თქვეს, რომ ახლო და საპარიკმახერო ადგილმოუწყობელია. საოჯახო გზებზე წვიმის დროს გავლა ძნელდება, წყალი საკმარისი არ არის და სხვ.

კოლმეურნეობის წევრთა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ კოლმეურნეობის გამგეობის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და ხუთწლეულის პირველ წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საყოველთაოდ ქმედითი ღონისძიებანი დასახა.

სანიორელებმა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ ერთხმად, აი უკვე მეთხუთმეტედ აირჩიეს ალექსანდრე მარგალიტაშვილი.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხალხისათვის თავდადებული მებრძოლი

აბრამ (იცკა) იოსების-ძე რიჟინაშვილის დაბადების 80 წლისთავი

საყოველთაოდ ცნობილი სოციალისტი, რევოლუციონერი და პროპაგანდისტი,— ასე ახასიათებდა პოლიცია ა. ი. რიჟინაშვილს, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია და სიცოცხლე ხალხის ბედნიერი. მომავლისათვის ბრძოლას შესწირა.

ა. ი. რიჟინაშვილი დაიბადა 1886 წელს ქ. ქუთაისში, ღარიბი ებრაელის ოჯახში. 1896 წელს იგი შევიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც 1903 წელს დაამთავრა.

რევოლუციურ მოძრაობაში ა. რიჟინაშვილი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება. ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ყოფნის დროს აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა მარქსისტულ წრეებში. აქ გუდმოდგინედ სწავლობდნენ მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებებს, ლენინურ „ისკრას“ და სხვა არალეგალურ გამოცემებს. სწორედ ამ პერიოდში შეარქვეს მას მეგობრებმა იცკა („ისკრის“ სახელწოდების თავისებური ინტონაციით გამოთქმის გამო) რაც შემდეგში მის არალეგალურ პარტიულ სახელად იქცა.

1904 წლის იანვარში რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებასთან დაკავშირებით ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოეწყო ქალაქის ყველა სასწავლებლის მოსწავლეთა საერთო გაფიცვა და დემონსტრაცია, რომელიც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მძლავრ პოლიტიკურ გამოსვლად გადაიქცა. იცკა აქტიურად მონაწილეობდა ამ გამოსვლებში. იგი მოსწავლეთა შორის ეწეოდა რევოლუციურ აგიტაციას, ავრცელებდა არალეგალურ ფურცლებსა და პროკლამაციებს, ასრულებდა ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პასუხსაგებ დავალებებს.

1904 წლის ივლისში რიჟინაშვილი გაემგზავრა გერმანიაში და შევიდა ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის ეკონომიურ განყოფილებაზე. ამ დროს ლაიპციგში არსებობდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომო, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობათა წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ი. რიჟინაშვილი იმითვითვე დაუახლოვდა სათვისტომოს ბოლშევიკურ ჯგუფს. მასში შედიოდნენ მ. დავითაშვილი, დ. სულიაშვილი, ა. სვანიძე და სხვ. ჯგუფს ახლო ურთიერთობა და მუდმივი მიწერ-მოწერა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, რომელიც ამ დროს საზღვარგარეთ იმყოფებოდა.

ქართველ სტუდენტთა ლაიპციგის ბოლშევიკურ ჯგუფში ი. რიჟინაშვილმა მალე დაიმსახურა სიჭირი, განათლებული მარქსისტ-ლენინელის სახელი. ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთში, კერძოდ კავკასიასა და საქართველოში, არალეგალური ლიტერატურის გადაგზავნის საქმეში. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა სპარსეთის გზით ამერიკაკავკასიაში არალეგალური ლიტერატურის გადაგზავნის ექემა.

რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებისთანავე ი. რიჟინაშვილმა მიატოვა ლაიპციგის უნივერსიტეტი და მ. დავითაშვილთან, დ. სულიაშვილთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში. „ჩვენი ადგილი ახლა იქ არის, საჭიროა ბრძოლა. საჭიროა აჯანყებული ხალხის სამსახურში ჩადგომა“ — აღფრთოვანებული ეუბნებოდა იგი თავის მეგობრებს სამშობლოში გამგზავრების წინ.

საქართველოში, დაბრუნებისთანავე იცკა აქტიურად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის დავალებით იგი დიდ საგიტაციო-პროპაგანდისტულ და ორგანიზაციურ საქმიანობას აწარეკლა ქუთაისის გარნიზონის ჯარის ნაწილებში. „1905 წლის დასაწყისიდან, — ნათქვამია ქუთაისის ეანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს მოხსენებაში კავკასიის მეფისნაცვლისადმი, — ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა შორის. პროპაგანდისტები ჯარისკაცებს ეუბნებოდნენ: აიღეთ იარაღი და მიუმბრუნეთ მხარეზე. გადადით. ხალხთან ერთად აჯანყდით და მაშინ ყველასათვის უკეთესი მდგომარეობა შეიქმნებაო. კარგად მოიქცნენ ჯარისკაცები კიევში და მატროსები შავ ზღვაზე, ამბობენ რომ მოაწყეს, მათგან მაგალითი უნდა აიღოთო“.

ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებს შორის ი. რიჟინაშვილის რევოლუციური მოღვაწეობა განსაკუთრებული ძალით გაიშალა 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დროს, რაც შეემჩნეველი არ დარჩენია მეფის ხელისუფლებას. „...ლაიპციგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ებრაელი აბრამ იოსების-ძე რიჟინაშვილი, — მოახსენებდა ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის პოლიციის უფროსს, — გასული 1905 წლის ოქტომბერში საგიტაციო საქმიანობას ეწეოდა უმთავრესად ჯარის ნაწილებში“...

ი. რიჟინაშვილის აქტიური მონაწილეობით 1905 წლის 20-21 ნოემბერს გაიმართა ქუთაისის მშრომელთა კრებები და მიტინგები, რომელებსაც ჯარისკაცებიც ესწრებოდნენ. ამ კრებებსა და მიტინგებზე მიღებულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ შემუშავებული ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცთა საერთო რევოლუციური „მოთხოვნები“, რაც 30 პუნქტისაგან შედგებოდა. ეს დოკუმენტი ცალკე პროკლამაციის სახით გამოიცა და ფართოდ გავრცელდა მთელ ქალაქში. მასში აღნიშნული იყო, რომ ჯარისკაცთა რევოლუციური მასების საბო

საერთაშორისო ცხოვრება

მხურვალე მხარდაჭერა

კაენი, 31 იანვარი. (საკდესი). 29 იანვარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგის თავმჯდომარეობით გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, სხდომაზე მოისმინეს მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მეთაურის, პრემიერ-მინისტრის მოადგილის ლე თხან ნგის მოხსენება საბჭოთა კავშირში, ჩინეთსა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებში დელეგაციის ვიზიტების, იქ წარმოებული მოლაპარაკებისა და ამ ქვეყნებთან დახმარების შეთანხმებათა და ეკონომიურ შეთანხმებათა დადების შესახებ.

სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: მინისტრთა საბჭო სიხარულით აღნიშნავს და დიდად აფასებს ეკონომიური ვიზიტებისა და მოლაპარაკების დროს მიღწეულ წარმატებებს, აგრეთვე დახმარების შეთანხმებებსა და ეკონომიურ შეთანხმებებს, რომლებიც დელეგაციამ ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან დადო.

მინისტრთა საბჭომ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს, ჩინეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პარტიებს, მთავრობებსა და ხალხებს მხურვალე მხარდაჭერისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ეკონომიური და თავდაცვითი პოტენციალის და საბრძოლო ძალიერების განმტკიცების მიზნით მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევენ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული ხსნისათვის.

მტკიცე პროტესტი

კაენი, 1 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, რომ ვიეტნამის სახალხო არმიის კავშირის მისიამ გუშინ სასწრაფო წერილი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას, რომელშიც მტკიცე პროტესტს გამოხატავს იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვა. ვიეტნამი ვიეტნამელებისაა და ამერიკელები კი თავიანთი იარაღით შინ უნდა ისხდნენ".

იაპონია. იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის განახლება ნათლად მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების პირფერობას. სანამ ამერიკის შეერთებული შტატები ოკუპაციას უწევენ სამხრეთ ვიეტნამს, ხოცავენ ვიეტნამელებს, მშვიდობა ვიეტნამში შეუძლებელია, განაცხადა სოციალისტურმა პარტიამ.

განცხადებაში არის მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, ამერიკის თვითმფრინავებმა განაახლეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა, რამაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის სერიოზული შეშფოთება, გულისწყრომა და მტკიცე პროტესტები გამოიწვია.

ფინეთი. ჰელსინკში მიმდინარეობს ფინეთის კომპარტიის XIV ყრილობა, რომლის დელეგატებმაც ერთსულოვნად მიიღეს შემდეგი საპროტესტო დეპეშა:

„ხელები შორს ვიეტნამისაგან!

ფინეთის კომპარტიის XIV ყრილობა დიდ გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვა. ვიეტნამი ვიეტნამელებისაა და ამერიკელები კი თავიანთი იარაღით შინ უნდა ისხდნენ".

იაპონია. იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის განახლება ნათლად მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების პირფერობას. სანამ ამერიკის შეერთებული შტატები ოკუპაციას უწევენ სამხრეთ ვიეტნამს, ხოცავენ ვიეტნამელებს, მშვიდობა ვიეტნამში შეუძლებელია, განაცხადა სოციალისტურმა პარტიამ.

ვიეტნამი —ვიეტნამელებს!

ამერიკის თვითმფრინავებმა განაახლეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა, რამაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის სერიოზული შეშფოთება, გულისწყრომა და მტკიცე პროტესტები გამოიწვია.

ფინეთი. ჰელსინკში მიმდინარეობს ფინეთის კომპარტიის XIV ყრილობა, რომლის დელეგატებმაც ერთსულოვნად მიიღეს შემდეგი საპროტესტო დეპეშა:

„ხელები შორს ვიეტნამისაგან!

ფინეთის კომპარტიის XIV ყრილობა დიდ გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვა. ვიეტნამი ვიეტნამელებისაა და ამერიკელები კი თავიანთი იარაღით შინ უნდა ისხდნენ".

იაპონია. იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის განახლება ნათლად მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების პირფერობას. სანამ ამერიკის შეერთებული შტატები ოკუპაციას უწევენ სამხრეთ ვიეტნამს, ხოცავენ ვიეტნამელებს, მშვიდობა ვიეტნამში შეუძლებელია, განაცხადა სოციალისტურმა პარტიამ.

ინგლისი. ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა ინგლისის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ამერიკის ავიაციამ განაახლა საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

კომიტემა მოითხოვა ინგლისის მთავრობისაგან მოუწოდოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

აშშ. სენატორმა უ. მორზემ მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების სავიეტნამო პოლიტიკა და გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელები ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. გუშინ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომპანიის „კოლამბია ბროდკასტინგ სისტემის" პროგრამით სიტყვა წარმოთქვა სენატორმა მორზემ და განაცხადა, რომ ომის გაფართოება ვიეტნამში მცდარი პოლიტიკაა. „სავალალო და საზიზღარი ის არის, რომ შეერთებული შტატები მთავარი აგრესორია ვიეტნამში" — თქვა სენატორმა, შემდეგ მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი მოკმედებით ვიეტნამში ცამეტჯერ დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება.

მორზემ შემდეგ განაცხადა, რომ პრეზიდენტ ჯონსონს „არა აქვს არავითარი უფლება სასიკვდილოდ გაგზავნოს ამერიკელი ახალგაზრდები ომის გამოუცხადებლად". (საკდესი).

ლ. ჯონსონი აფართოებს ომს ვიეტნამში

ვაშინგტონი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა დღეს რადიოთი და ტელევიზიით მიმართა ხალხს, რომელშიც განაცხადა, რომ დღეს დილით მისი ბრძანებით ამერიკის ავიაციამ განაახლა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

ამრიგად, პრეზიდენტი ჯონსონი აპყავ შეერთებული შტატების ყველაზე ომის მტრფიალე და მილიტარისტული წრეების რჩევას, რომლებიც მოუწოდებენ მას განაგრძოს და გააფართოოს ომი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

როგორც პრეზიდენტმა თქვა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის განახლება „არ მოასწავებს სამშვიდობო ღონისძიებათა განხორციელებაზე უარის თქმას". ამასთან დაკავშირებით, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მას ინსტრუქცია მიუცია ამერიკის მეფოთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გოლდბერგისთვის, რომ მან მოითხოვოს დაუყოვნებლივ მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა.

ეს სურათი თვალნათლივ გამოხატავს ვიეტნამელი ხალხის სულისკვეთებას — იარაღით ხელში იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე. „ისინი სამშობლოს იცავენ" — ასე ეწოდება მას.

ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოიწვიეს უშიშროების საბჭო

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს სხდომა დანიშნულია 1 თებერვალს 10 საათსა და 30 წუთზე ნიუ-იორკის დროით.

როგორც უკვე ეიუწყებოდით, უშიშროების საბჭოს მოწვევა მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის მდგომარეობის განსახილველად. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს მოთხოვნა წამოაყენეს რამდენიმე საათის შემდეგ, რაც ამერიკის თვითმფრინავებმა ხელახლა დაიწყეს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა.

იტალიის კომპარტიის XI ყრილობა

რომი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს დილის სხდომაზე დამთავრდა იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვა. იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლ. ლონგოს საბოლოო სიტყვის შემდეგ დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს ლ. ლონგოს მოხსენება ყრილობაზე და იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები.

ერთხმად მიიღეს აგრეთვე იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობის პოლიტიკური რეზოლუცია.

საღამოს სხდომაზე ყრილობა განიხილავს პარტიის წესდების ცვლილებათა საკითხს და შეუდგება იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და საკონტროლო ორგანოების არჩევნებს.

რომი, 31 იანვარი. (საკდესი), საღამოს იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობამ განაახლა მუშაობა. იხილავენ პარტიის წესდების ცვლილებათა საკითხს.

რომი, 31 იანვარი. (საკდესი). მუშაობა დამთავრა იტალიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობამ. საბოლოო სხდომაზე აირჩიეს ახალი ცენტრალური კომიტეტი 151 კაცის შემადგენლობით და ცენტრალური საკონტროლო კომისია 51 კაცის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩიეს იტალიელ კომუნისტთა ნაცადი ხელმძღვანელი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ლუიჯი ლონგო. ამ ცნობას მქუხარე ტაშით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები. ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩეულია მ. სკოჩიმარო.

ბაისმის „ინტერნაციონალზეა" და იტალიელ მშრომელთა საბრძოლო ჰიმნის „ბანდიერა როსსა" მელოდიები. ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

ლ. ჯონსონი აფართოებს ომს ვიეტნამში

ვაშინგტონი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა დღეს რადიოთი და ტელევიზიით მიმართა ხალხს, რომელშიც განაცხადა, რომ დღეს დილით მისი ბრძანებით ამერიკის ავიაციამ განაახლა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

ამრიგად, პრეზიდენტი ჯონსონი აპყავ შეერთებული შტატების ყველაზე ომის მტრფიალე და მილიტარისტული წრეების რჩევას, რომლებიც მოუწოდებენ მას განაგრძოს და გააფართოოს ომი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

როგორც პრეზიდენტმა თქვა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის განახლება „არ მოასწავებს სამშვიდობო ღონისძიებათა განხორციელებაზე უარის თქმას". ამასთან დაკავშირებით, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მას ინსტრუქცია მიუცია ამერიკის მეფოთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გოლდბერგისთვის, რომ მან მოითხოვოს დაუყოვნებლივ მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა.

„ათეულის თათგირი"

პარიზი, 1 თებერვალი. (საკდესი). პარიზში დაიწყო ეგრეთწოდებული „ათთა ჯგუფის" თათბირი. ამ ჯგუფში შედიან ეკონომიურად ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები (შეერთებული შტატები, იგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, იტალია, ბელგია, ჰოლანდია, კანადა, შვეიცა, იაპონია).

„ათთა ჯგუფი" განიხილავს ფულისა და საერთაშორისო სისტემის რეფორმის პრობლემებს. გუშინდელ სხდომაზე, რომელიც გაიმართა დასავლეთ გერმანიის ფედერალური ბანკის დირექტორის ემინგერის თავმჯდომარეობით, „ათეულმა" განიხილა სხვადასხვა წინადადებანი ისეთი ახალი საერთაშორისო საანგარიშსწორებო ერთეულის შექმნის შესახებ, რომელიც დოლართან და ჭირვანქა სტერლინგთან ერთად შეასრულებს სარეზერვო ვალუტის როლს.

დისკუსია უფლრესად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობს.

„ათეულო" განიხილავს აგრეთვე ამერიკის პროექტს, რომელიც წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დემინგმა, და ახლანდელი თათბირის თავმჯდომარის ემინგერის გეგმას, რომელიც მან „პირადი ინიციატივით" წამოაყენა.

„ოერთმეტთა კომიტეტის" სესია

დარ-ეს-სალამი, 1 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა აფრიკის ქვეყნების ერთობლივ ორგანიზაციის „თერთმეტთა კომიტეტის" მორიგი სესია. საერთო ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, სესია განიხილავს მოზამბიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მდგომარეობის საკითხს და კომიტეტის ორგანოების საქმიანობას სამხრეთ როდეზიის ამბებთან დაკავშირებით.

კოლუმგიელ კომუნისტთა X ყრილოგა

ბოგოტა, 1 თებერვალი. (საკდესი). აქ გაიმართა კოლუმბიის კომუნისტური პარტიის X ყრილობა. ყრილობას დესესწრო 162 დელეგატი.

ყრილობამ მიიღო პოლიტიკური რეზოლუციები, პარტიის პროგრამა, შეიტანა ცვლილებანი პარტიის წესდებაში და მოიწონა რეზოლუციები ორგანიზაციულ საკითხებზე.

ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა. ხელმძღვანელ ვიეირა კვლავ აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მდივნად.

მონოპოლისტთა სიხარული

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის თავდასხმის განახლებამ აღფრთოვანა ამერიკელი მონოპოლისტები, რომლებიც მდიდრდებიან გამალებული შეიარაღებითა და ვიეტნამის ომით.

როდესაც დღეს დილით გაიხსნა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა, მკვეთრად გაიზარდა იმ კომპანიათა აქციების კურსი, რომლებიც სამხედრო თვითმფრინავებსა და სხვა შეიარაღებას უშვებენ.

მაგალითად, „ბოინგ ეირფლეინის" მონოპოლიის აქციების კურსმა 4 დოლარით მომატება. ამ მონოპოლიას წამყვანი ადგილი უკავია ბომბდამშენთა წარმოებაში, „დეგლას ეირკრაფტის" კომპანიის აქციების კურსმა დოლარნახევარით მოიმატა, „ჯენერალ დინამიქსისამ" — დაახლოებით ერთი დოლარით.

სიცივეები ამერიკაში

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ შტატებს კვლავ თავს დაატყდა უმაგალითო ძალის გრიგალი, რომელსაც ტემპერატურის მკვეთრი დაცემა და დიდი თოვლი მოჰყვა. ქარის სიჩქარე ზრნრად 96 კილომეტრს აღწევდა საათში. ნამქერებმა დაარღვიეს ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობა.

ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში თოვლის ფენა 40 სანტიმეტრს აღემატება. ხოლო ქაერის ტემპერატურა დაეცა მინუს 18 გრადუსამდე.

ვირჯინიის შტატში შემოღებულია საგანგებო წესები. როგორც იუწყებიან, ამ შტატების ერთ-ერთ რაიონში თოვლის ნამქერების სიმაღლე სამ მეტრს აღწევს. სიცივეები შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტის ოკეანის სანაპიროს ყველაზე სამხრეთ შტატში — ფლორიდაში. ამ შტატის ზოგიერთ რაიონში ტემპერატურა დაეცა მინუს 12 გრადუსამდე, რამაც, შტატის ოფიციალურ პირთა აზრით, შეიძლება გაანადგუროს ბოსტნეულისა და თამბაქოს მოსავალი.

გრიგალმა სულ ცოტა 72 კაცი შეიწირა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალთა რეაქციული ავიაგამანადგურებელი „F-105" ბანგკოკის აეროდრომიდან აფრინდა და ვიეტნამის საზღვრებისაკენ გაემართა, ღრუბლებში რომ შევიდა, თვითმფრინავი უეცრად შეტორტმანდა, შემდეგ კი ქვასავით დედამიწისაკენ. პილოტმა მექანიკურად დააჭირა თითი კატაპულტის ღილაკს და უკვე პარაშუტზე ჩამოკიდებულმა დაინახა, რომ თვითმფრინავი შეიკრა გლეთთა ქოხებში და ცისკენ ცეცხლისა და კვამლის სვეტი ავარდა. როცა ავარიის ადგილას მაშველი რაზმი მოვიდა, მან 18 დახოცილი ნახა. მწუხარებით გაოგნებული ქალები, მოხუცები და ბავშვები გვამებს შორის თავიანთ ნათესავებს ეძებდნენ...

იანკეები მეკონგის ნაპირებზე

საქლესის მიმოხილვა

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალთა რეაქციული ავიაგამანადგურებელი „F-105" ბანგკოკის აეროდრომიდან აფრინდა და ვიეტნამის საზღვრებისაკენ გაემართა, ღრუბლებში რომ შევიდა, თვითმფრინავი უეცრად შეტორტმანდა, შემდეგ კი ქვასავით დედამიწისაკენ. პილოტმა მექანიკურად დააჭირა თითი კატაპულტის ღილაკს და უკვე პარაშუტზე ჩამოკიდებულმა დაინახა, რომ თვითმფრინავი შეიკრა გლეთთა ქოხებში და ცისკენ ცეცხლისა და კვამლის სვეტი ავარდა. როცა ავარიის ადგილას მაშველი რაზმი მოვიდა, მან 18 დახოცილი ნახა. მწუხარებით გაოგნებული ქალები, მოხუცები და ბავშვები გვამებს შორის თავიანთ ნათესავებს ეძებდნენ...

დაირღვა მშვიდობა წყალუხვი მეკონგის ნაპირებზე ტაილანდში. აქ დღედაღამ განუწყვეტლივ ისმის ჰაეროპლანების ბუბუნი, რომლებიც ხშირად გლეთთა უანებში იკვლევდნენ გზას. განუწყვეტელ ნაკადად მიედინება სამხედრო ალები სიამის ყურის სანაპიროდან სვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის საზღვრებისაკენ. ამერიკის ხომალდებსა და თვითმფრინავებს მოპყავთ პენტაგონის სამხედრო მრჩეველები, საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმები და სპეციალური დამკვრელი ნაწილები. მარტო გასულ წელს მათი რიცხვი ტაილანდში 5,5 ათასიდან 13 ათასამდე გაიზარდა. ამერიკის პრესა წერს, რომ პენტაგონს განზრახული აქვს უახლოეს თვეებში გააორკეცოს აქ თავისი პერსონალის შემადგენლობა.

ამერიკის შეერთებული შტატების საექსპედიციო არმიას ტაილანდში სარდლობს ეგრეთ წოდებული „სამხედრო საკონსულტაციო ჯგუფის" მეთაური გენერალი სტილუელი. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელი, ეს „წყნარი ამერიკელი", თავის დროზე სამხრეთვიეტნამელი კვისლინგებისათვის სამხედრო დახმარების გამწევი სარდლობის შტაბის უფროსი იყო. ახლა „ესკალაციის" სტრატეგიამ სტილუელი ტაილანდში ჩაიყვანა, თუმცა მისი მისია ისეთივეა — მოამზადოს „ლოკალური ომის" ახალი კერა.

სტილუელის ხელმძღვანელობით წელს ტაილანდში შენდება ახალი სამხედრო ბაზების, აეროდრომების, სტრატეგიული დაჩქარებული სამხედრო მზადება ტაილანდში ამერიკის პრესას უნდა წარმოადგინოს, როგორც რაღაც „კანონიერი თავდაცვა" ძირგამომთხრელ ელემენტთა ეგრეთ წოდებული საშინაო აგრესიისაგან". მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ამ საბაბით ვაშინგტონი სახავს ვიეტნამში თავისი ნეოკოლონიური ავანტიურის შემდგომი ესკალაციის, ინდოჩინეთის მთელ ნახევარკუნძულზე აგრესიული ომის გაგრცელების შორსგამიზნულ გეგმებს.

ტაილანდის ტერიტორიას უკვე ფართოდ იყენებენ როგორც ბაზას ამ რაიონის ნეიტრალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ დივერსიის, ჯაშუშობის და პროვოკაციებისათვის. ბანგკოკში, სეატოს შტაბში შემოშუშავეს „სამკბილა ჩანგლის" გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა კამბოჯაში შეჭრა ერთდროულად ტაილანდისა და სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიებიდან და სიამის ყურიდან. ტაილანდის ტერიტორიიდან განუწყვეტლივ სტარტს იღებენ ამერიკის თვითმფრინავები, რომლებიც ბარბაროსულად ესხმიან თავს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ რაიონებს და ლაოსის იმ რაიონებს, რომლებსაც კონტროლს უწევენ პატრიოტული ძალები. ამასთან ვაშინგტონელი სტრატეგები ციტადელად აცხადებენ, რომ ეს მეკობრეული მოქმედება საერთაშორისო ურთიერთობის „ნორმაა". როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის" მმომამხილველი ხ. ბოლდუინი წერს, „შეერთებული შტატების აზრით, ტაილანდის თავდაცვა იწყება ვიეტნამსა და ლაოსში და, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია სამხედრო თვალსაზრისით უნდა მივიჩნიოთ ერთ სტრატეგიულ მთლიანობად. ტაილანდი უკვე მრავალი თვეა ამ წინამძღვრის საფუძველზე მოქმედებს და უფლებას აძლევს შეერთებულ შტატებს — გამოიყენოს ტაილანდის აეროდრომები, როგორც ბაზები ჩრდილოეთ ვიეტნამისა და ლაოსის კორიდორის დასაბომბავად".

როგორ მოხდა, რომ ტაილანდი ჩაითრიეს მსოფლიო ომანდარმის თვითმკვლელურ ავანტიურაში?

გენერლების ხუნტა, რომელიც ტაილანდს მართავს, ძირითადად იცავს 400 უმდიდრესი ოჯახის ინტერესებს. ეს ოჯახები საკმაოდ სუსტად არიან დაკავშირებული სამრეწველო წარმოებასთან და ძირითადად მდიდრდებიან არმიისათვის გამოყოფილი ფულის მითვისებით. კომპრადორობით, ოპიუმის კონტრაბანდიული ვაჭრობით, ხელსაყრელი სახელმწიფო პოსტებით, კორუფციითა და მიწის ნაკვეთების პარაზიტული გაიჯარებით. ასეთ პირობებში ამერიკელთ დამკვიდრება ტაილანდში უშუალოდ არ ვნებს მმართველი წრის ინტერესებს. მეტიც, ამერიკელები გარკვეულად უწყობენ ხელს სამხედრო ბიუროკრატიის გამდიდრებას. დიდი სიმდიდრე მოიხვეჭა (10.5 მილიონი გირვანქა სტერლინგი) სახელმწიფო კაპიტალისტური სექტორის საწარმოთა და უცხოთის დახმარების ფონდების ხარჯზე ტაილანდის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მარშალმა სარით ტანარატმა. როცა აღვირახსნილი პირადი ცხოვრების შემდეგ, მარშალი გარდაიცვალა, მისმა უამრავმა ცოლმა და ხასამ სასაცილო დავა ატეხეს მემკვიდრეობისათვის. როგორც საფრანგეთის გაზეთი „მონდი" წერდა, სულ ცოტა ასი „სილამაზის დედოფალი", კინომსახიობი და სხვა ქალები აცხადებდნენ, რომ კანონიერი უფლება აქვთ მემკვიდრეობად მიიღონ სახლები, ავტომანქანები და ძვირფასეულობა, რომლებსაც გულუხვად ირიგებდა სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე მათი განსვენებული თაყვანისმცემელი.

უდიდესი სამხედრო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ვაშინგტონის აგრესიულ აქციებში მონაწილეობასთან, 100 ათასიანი არმიის შენახვა, იარაღის მოდერნიზაცია, გენერლებისათვის უზარმაზარი ხელფასის გაცემა (აქ კი გენერლები მეტია, ვიდრე ბატალიონები), ალარ ტოვებს სახსრებს ტაილანდის ჯანსაღი სამეურნეო განვითარებისათვის. ამ ბოლო წლებში ტაილანდის საგარეო და საშინაო ვალი 10-12 მილიარდ ბატზე ნაკლები არ ყოფილა. „ნიუ-იორკ ტაიმს მეგზინიც" კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ შეიარაღებული ძალების ზრდა რომ არა, ტაილანდი, რომელსაც უალრესად მდიდარი რესურსები აქვს, თვითონ დაეხმარებოდა სხვა ქვეყნებს და ძია სემის სამათხოვრო ორდერი არ ექნებოდა.

ყოველ ორ-სამ საათში ტაილანდის სამხედრო აეროდრომებიდან ცაში ადიან ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც ვიეტნამის, ლაოსის, კამბოჯის საზღვრებისაკენ მიემართებიან. მფრინავთა პირადი გემოვნების და მდერეკილების შესაბამისად თვითმფრინავებზე დახატულია მამლისა თუ ვეფხის თავები, ან ადამიანის თავის ქალა და ძვლები. იმ მფრინავებს შორის, რომლებსაც გზავნიან ამერიკის „დასაცავად" ვიეტნამელი ქალებისა და მოხუცებს, ბავშვებისა და მოზარდებისაგან, გავრცელებულია ცრურწმენა, რომ ეს სამმოლური გამოსახულებანი გადაარჩენენ საიქიოში ნაადრევი გამგზავრებისაგან. ცხოვრება მწარედ დასცინის „ცივილიზებულ" მეკობრეთა ამ ილუზიებს. მრავალი ათასი დოლარის დაქირავებული უკვე განისვენებს ვიეტნამის მიწაში. და ეს ასახავს ჩვენი საუკუნის კანონზომიერებას, რომ ვერც პოლიციელთა ხელკეტები, ვერც ჯავშნიანი მუშტები ვერ ჩაახშობენ ხალხთა მეამბოხე სულს, რომლებიც აღსდგნენ თავიანთი ადამიანური უფლებების დასაცავად.

მშრომელები იცავენ თავიანთ უფლებებს

ბოკიო. დამთავრდა იაპონიის საოკეანო და შინა ხაზების მეზღვაურთა გაფიცვა. ერთ თვეზე მეტ ხანს იბრძოდნენ ისინი ხელფასის მომატებისათვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის და კიდევაც გაიმარჯვეს. 1 თებერვლიდან საოკეანო გემებისა და საკაბოტაჟო ხაზების გემების მეზღვაურთა ხელფასი საშუალოდ 16 პროცენტით გადიდდება.

მეზღვაურთა გაძარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვა პროფკავშირთა მუშების მხარდაჭერასა და სოლიდარობას.

მეზღვაურთა ეს გაფიცვა უდიდესი გაფიცვა იაპონიის ომისშემდგომ ისტორიაში. მან შესამჩნევი გავლენა მოახდინა იაპონიის ეკონომიკაზე, შეეხო მრეწველობის ბევრ დარგს, რომლებიც შეოტანილი ნედლეულით მუშაობენ, გავლენა მოახდინა საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებზე.

პარიზი. ბელგიის ქვანახშირის შახტის „ზეარტბერგის" მაღაროელებმა, რომელიც ლიმბურგის პროვინციის ქალაქ გენკის მახლობლად მდებარეობს, გაიაფშვრეს ფეპტრონთა გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლებსაც სურთ შახტი დახურონ „არარენტაბელობის" საბაბით. როგორც უცხოთის სააგენტოები იუწყებიან, ამ რაიონში გაიმართა მუშახტეთა მასობრივი დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობდა 500-დან 5.000-მდე კაცი. ასობით მუშახტემ თვით შახტში მჯდომარე გაფიცვა მოაწყო.

გაფიცული მუშების წინააღმდეგ გაგზავნეს პოლიციელთა რაზმები. პოლიციელებმა სცემეს დემონსტრანტებს, ცრემლსადენგაზიანი ბომბები გამოიყენეს მათ წინააღმდეგ. პოლიციასთან შეტაკების დროს ათობით მუშა დაიჭრა, ბევრი დემონსტრანტი დააპატიმრეს.

ოტავა. უკვე თითქმის ერთი თვეა გაფიცული არიან კანადის ქვანახშირის პროვინციის დაწყებითი და საშუალო კათოლიკური სკოლების მასწავლებლები. ამ უკიდურეს ღონისძიებას მათ მიმართეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ნახევარი წელია ამაო მოლაპარაკება აქვთ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

სკოლის ხელისუფლები უარს აცხადებენ დააკმაყოფილონ მასწავლებელთა მოთხოვნები და უსახსრობას იმიზეზებენ. ამასთანავე შუა გაფიცვაში მთავრობამ გამოაცხადა, რომ საიდუმლო პოლიციის ყველა თანამშრომელს 6-8 პროცენტით უდიდდება ხელფასი.

მასწავლებელთა მიმართ ასეთი უსულგული დამოკიდებულება ადასტურებს კანადისათვის სამარცხვინო ფაქტს, რომ ოფიციალური მონაცემების თანახმად, ერთ მილიონზე მეტი კანადელი უწიგნურია, ხოლო მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტს ახლოდან დაწყებითი განათლება აქვს.

პარიზი. მთელ საფრანგეთში დიდი გაფიცვები დაიწყო — ასობით საფოსტო განყოფილებაში, მათ შორის დიდ ქალაქებში. გაფიცვები მოაწყვეს შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალ ფოსტის მოსამსახურეთა ფედერაციებმა და საფრანგეთის შრომის დემოკრატიულმა კონფედერაციამ მოქმედების ერთიანი დღის — მშრომელთა პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის დღის აღსანიშნავად.

ფოსტის მოსამსახურეები მოითხოვენ სამუშაო დღის შემცირებას. (საკდესი).

ახალი აზრები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

• ჩვენი ინტერვიუ •

ჰაერში დაკიდებული გზები

ჩვენს ცხოვრებაში უკვე მტკიცედ დამკვიდრდა ტრანსპორტის ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული და ჩქარი სახე — საჰაერო-საბაგირო გზები. თუ რაღდენიმე წლის წინათ ბაგირზე მოსრიალე ლამაზ ვაგონს იშვიათად ნახავდით, ახლა იგი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დოსტატდნენ საბაგირო გზების გაყვანაში საქართველოს ინჟინერ-ტექნიკოსები. ისინი უკვე საჰაერო-საბაგირო გზებს აპროექტებენ როგორც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტებისათვის ისე მოძმე რესპუბლიკების დაკვეთითაც.

— წელს საღ აშენდება ახალი საჰაერო-საბაგირო გზები? — ამ კითხვით მივმართეთ „საქგიპროშახტის“ საპროექტო ინსტიტუტის სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზების დაპროექტების ჯგუფის უფროსს, ინჟინერ ვახტანგ ლეჟავას.

—პირველ კვარტალში დაიწყება ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალმთიანი ყაზბეგი-სამების სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა,—გვითხრა მან,—ეს გზა მოშაჰურებს გაუწევს ტურისტ-ექსკურსანტებსა და ალპინისტებს. საბაგირო გზის ქვედა სადგური მოეწყობა ზღვის დონიდან 1750 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო ზედა სადგური — 2200 მეტრზე. თვით ბაგირის სიგრძე ორი კილომეტრი იქნება. ამ მანძილს საჰაერო ვაგონი მგზავრები 5 წუთში დაფარავენ. აღსანიშნავია, რომ ყაზბეგ-სამების საბაგირო გზა უნიკალური იქნება. იგი ერთმალიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1800 მეტრი სიგრძის ბაგირს საყრდენი არ ექნება.

როგორც ცნობილია, ყაზბეგ-საპების საბაგირო გზის მშენებლობა შემდგომში გაგრძელდება. გაკეთდება ჯერ სამმბა-ბმოლემის კიდული გზა, შემდეგ კი ბმოლეგ-ძეტეოროლოგიური სადგურისა ამრიგად, მომავალში კაცს ყაზბეგის რაიონული ცენტრიდან რამდენიმე წუთში შეეძლება მოხვდეს ყინულების სამფლობელოში:

წელს ინსტიტუტში დამთავრდება სამება-ბეთლემის და ბეთლემ-მეტეოროლოგიური სადგურის საჰაგირო გზის დაპროექტების სამუშაოები.

ბათუმში დაიწყება სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა. რომელიც ბარათაშვილის ბულვარს ბათუმის მთასთან დაკავშირებს. ბაგირის სიგრძე აქ 1.450 მეტრი იქნება. გათვალისწინებულია მთაზე გაშენდეს კულტურისა და დასვენების პარკი. რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ შესანიშნავი ადგილით სარგებლობას.

სულ ახლოს არის ტყიბულთან ცხრაჯვრის მთა. სადაც გათვალისწინებულია ახლო მომავალში გაშენდეს ჯანმრთელობის კერა. ერთადერთი საავტომობილო გზა ვერ აკმაყოფილებს მეშუტყთა მოთხოვნილებას. ზამთრობით გზაზე მოგზაურობა ფერხდება, რაც აძნელებს მთაზე ორსეფილი პროფილაქტორიუმით სარგებლობას. წელს ტყიბულში დაიწყება სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა. რომელიც ქალაქის მენტორს დაუკავშირებს ცხრაჯვარის მთასთან.

ბაგირის სიგრძე იქნება 3500 მეტრი, ხოლო სიმაღლეთა სხვაობა 840 მეტრი. იგი ბევრად მოხერხებული იქნება მგზავრობისათვის, რადგან საავტომობილო გზაზე ნჯერ ნაკლები სიგრძისა იქნება, ამავე დროს ზამთარ-ზაფხულ შეუფერხებლად იმოძრავებს.

ახლახან ინსტიტუტში დაამთავრეს ახალი პროექტის სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობის პროექტი. ეს გზა შავი ზღვის სანაპიროს დაუკავშირებს ივერის მთასთან.

სპეციალურ სახაზავ დაფებთან დახრილი ადამიანები ითვლიან სიმაღლეებს, ხაზავენ, ასწორებენ, ეძებენ მოხერხებულ ადგილს მომავალი მშენებლობისათვის.

გაივლის დღეები, და აქ ეს შესანიშნავი ჩანაფიქრი ხორცს შეისხამს, ადამიანის სამსახურში ჩადგება ახალი საჰაერო-საბაგირო გზები.

ლარისა ხუბულური.

კადრები — სოფელს

გურჯაანი. (ხაკ. კორ.). ბაყურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მოეწყო დაუსწრებელი განყოფილების კურსდამთავრებულთა საზეიმო გამომშვება. 178 კაცმა მიიღო დიპლომი. მათ შორის არიან მევენახე და მემინდვრე აგროტექნიკოსები. ბუხალტრები, მეფუტკრეები.

სილღალი. (ხაკ. კორ.). ქვემო მაჩხანის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი ოცდაათი წელია ამზადებს კადრებს სოფლის მეურნეობისათვის. წელს კიდევ 28 ახალგაზრდამ მიიღო ზოოტექნიკური განათლება.

კურსდამთავრებულებს, რომლებიც საბუშაოდ გაემგზავრნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში, ძირითად საექსპლოატაციოდ ერთად მიენიჭათ ხელოვნური მთესლავის ტექნიკოსის კვალიფიკაცია.



ტექნიკუმებში მიღების წესები

„სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში 1966 წელს მიღების ახალი წესები. წელს ამ სასწავლებლებში მიიღებენ ერთ მილიონზე მეტ ქალაქმკითხველსა და ჭაბუკს — ორასზელა საშუალო და საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებს.

რა მოთხოვნებს წაუყენებენ ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში შემსვლელთ? რა სიახლეა მიღების წესებში? ამეთი კითხვებით მიმართა სტუდენტს კოროსპონდენტმა **ი. კოზლოვსკიმ** სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის „პირველ მოადგილეს **მ. ა. პროკოფიევს.**

ამჟამად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გავაფართოოთ საშუალო სპეციალური სკოლების საქმიანობა, როგორც უმნიშვნელოვანესი რგოლისა, რომელიც ჩვენს სახალხო მეურნეობას აძლევს სხვადასხვა პროფილის კარგად მომზადებულ სპეციალისტებს, — თქვა მ. ა. პროკოფიევმა. — წელს შარშანდელთან შედარებით გადიდდება ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში მიღება. განსაკუთრებით მკვეთრად გადიდდება იმ პირთა მიღება, რომლებმაც საშუალო სკოლები დამთავრეს.

წინა წლებისაგან განსხვავებით საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები — მეცალონენები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან შეძლებული ვადის სწავლების ჯგუფებში.

არასრული საშუალო სკოლის ფრიადოსნები, რომლებიც ქების სიგელებით არიან დაჯილდოებულნი, შესასვლელ გამოცდებს ჩაბარებენ მხოლოდ ერთ მათემატიკაში, ანალოგიურად, ინტერნატებში (საშუალო სპეციალური სასწავლებლების შეხედულებისამებრ). ამ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი გამოცდის ჩაბარებისას მიიღებს შეფასება „5“, ისინი განთავისუფლებიან დანარჩენი გამოცდებისაგან და უყოყმანოდ ჩაირიცხებიან ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში. იმათ, ვინც „4“ ან „3“ მიიღებს, გამოცდები უნდა ჩაბარონ დანარჩენ საგნებშიც. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ეს პირები სხვა თანაბარ პირობებში ჩაირიცხებიან პირველ რიგში.

ისე როგორც წინათ, ახლაც ჩარიცხვის დროს დღის სწავლებაზე უპირატესობა მიეცემა ახალგაზრდობას, რომლებიც გამოგზავნეს ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, აგრეთვე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობიდან დემობილიზებულ მებრძოლებს და ამ პირებს, რომლებსაც სულ ცოტა ორი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ.

საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიიღებენ მხოლოდ იმათ, ვინც მუშაობს სახალხო მეურნეობაში, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში. „ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭებათ წარმოების მუშაკებს. რომელთა მუშაობის ხასიათი შეესაბამება ტექნიკუმსა თუ სასწავლებელში არჩეულ სპეციალობას.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების ახალი წესი, თქვა დასასრულ მ. ა. პროკოფიევმა, საშუალებას მოგვცემს ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში მივიღოთ ყველაზე ღირსეული, კარგად მომზადებული ახალგაზრდობა. (საკვლევი).

„ჰაერში“ ეროვნული ეკონომიკის სამყაროში

„სიზუსტის ტაძრის“ სიახლე

ამიერიდან ლენინგრადელები თავიანთ საათებს დაიზუსტებენ არა ტრადიციული ზარბაზნის გასროლით, რომელიც შუადღისას გაისმის პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის ბასტიონიდან. მოსკოვის პროსპექტზე დადგმულია უჩვეულო ქრონომეტრი, რომელიც ყველაზე ზუსტ მოსკოვის დროს უჩვენებს. ეს საათი დაიდგა „სიზუსტის ტაძრის“ — დ. ი. მენდელეევის სახელობის ინსტიტუტის ფასადზე. საათი მუშაობს იმ მექანიზმ-ეტალონის „კარნახით“, რომელიც სპეციალურ ლაბორატორიაშია. ამ საათის ციფერბლატი შეცვლილია შუქოვანი ტაბლოთი. ამავე ტაბლოზე მეორე მექანიზმი უჩვენებს ჰაერის ტემპერატურას.

ქვის ვიზიტურები

ეს იშვიათი ქვები სამუდამოდ დაიმარხებოდა ბეტონის პანელებში, ეორონეფის რკინა-ბეტონის ქარხნის მეპარატეს მარინე სინიუგინას რომ ერთი წამით არ გაეჩერებინა ტრანსპორტერი, რომელიც ბეტონსარევს აწვდის დონის ნაპირებიდან ჩამოტანილ კენჭებს. მისი ყურადღება მიიპყრო ნახატებით აჭრელებული ქვის ფირფიტების ნატეხებმა, მათზე გამოსახულია ფრინველებისა და თევზების მკაფიო კონტურები. ყოველი გამოსახულება დამთავრებული მინიატურაა.

ამ კოლექციას შეემატა გახეხილი ქვის ცული, რომელსაც შუაში გულმოდგინედ ამოჭრილი ნახვრეტი აქვს. ქვები, რომლებზეც გამოსახულია უძველესი გრავიურები, ოლქის ტერიტორიაზე ასეთი სახის პირველი ნაპოვნია. ისინი ჰგვანან ყირიმის მოჩუქურთმებულ კენჭებს, მაგრამ შესრულებულია სხვა მანერით და სხვა მასალით. რამდენი წლისაა ნახატები, როგორია მათი დანიშნულება—ამას გადაწყვეტენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტში, სადაც ოლქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გაგზავნა ნაპოვნები.

მტირალა ნაძვი

უდმურტეთის გულიაევის სატყეოში მონადირეებმა აღმოაჩინეს ბუნების იშვიათი საოცრება—მტირალა ნაძვი. 20 წლის ნაძვი დაფარულია ქაოსურად გაბნეულ-გაებული ტოტებით. მათი ბოლოები წვრილი მათრახებივით ერთნახევარ მეტრამდე ეშვება ძირს. ჩვეულებრივი ნაძვის წიწვთან შედარებით ამ ნაძვის მწვანე ეკლები ბევრად უფრო გრძელია, მაგრამ ისე ხშირი არ არის. უდმურტეთის სატყეო მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ ეს ხე უცნობი უიშვიათესი პიბრიდია. ეს არის მტირალა ნაძვის მეორე ეგზემპლარი, რომელიც იპოვეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

„ვულკანფილმის“ პირველი კინოსურათები

„ვულკანფილმი“ — კინოსურათი ახალი ტიტრებით ნამდვილად გააოცებდა მაყურებლებს. მაგრამ ამ სტუდიამ კამჩატკაზე უკვე მოიპოვა პოპულარობა. სტუდია შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ვულკანოლოგიის ინსტიტუტთან. მისი ოპერატორები ინსტიტუტის თანამშრომლის ნიკოლოზ კლასოვის მეთაურობით პავლოვსკაიაში როდი აწარმოებენ სანაკურო გადაღებებს. ბუნების ყველაზე გრანდიოზული მოვლენების დროს ისინი ვულკანის ყელში ან მის მახლობლად იმყოფებიან.

სტუდიის ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარია ფილმი კარიმის ვულკანის ამოფრქვევის შესახებ.

ატმოსფეროს უცნაურობანი

სოხუმი მაღალმთიანი ტერიტორია ზღვის დონიდან 15-20 კილომეტრზე რომ მდებარეობდეს, აქ ზამთარში უფრო ეთბილებოდა, ვიდრე ზაფხულში. ერევნის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ზუბიანმა დაადგინა, რომ ატმოსფეროს ამ ფენებში იანვრის ტემპერატურა ათი გრადუსით უფრო მაღალია, ვიდრე ივლისში.

ანომალიური ტემპერატურული რეჟიმი ერთადერთი უცნაურობა როდია, რომელიც აღმოაჩინეს მეცნიერებმა სოხუმის ატმოსფეროში. ზაფხულის პერიოდში იგი თავისი აგებულებით უფრო ჰგავს ტროპიკული განედების ატმოსფეროს, ზამთარში კი — ზომიერი განედებისას. და ბოლოს, ტროპოსფეროს ზედა ზღვარი ზაფხულში აქ აღწევს ჩვიდმეტ კილომეტრს სიმაღლეს, ზამთარში კი თერთმეტ კილომეტრს არ აღემატება. ესოდენ უჩვეულო ანომალიები, სპეციალისტთა აზრით, დიდად საინტერესოა მეტეოროლოგიის მეცნიერებისათვის.

„შავ სიკვდილზე“ ძლიერი

ყარაყურტებსა და ტარანტულებს, რომლებსაც ხალხში უდაბნოების „შავსიკვდილს“ უწოდებენ, საშინელი მტრები ჰყავთ. ცნობილმა ყაზახმა ენტომოლოგმა პ. მარიკოვსკიმ დაადგინა, რომ ამ არაჩვეულებრივად შხამიან მწერებს, რომლებიც ზიანს აყენებენ სამომაბარო მეცხოველეობას, ამარცხებენ პაწაწინა უფრთო მხედრები (უდაბნოს ჭრიჭინები) და შავი კრაზანა — პომპილა.

განსაკუთრებით წარმატებით ნადირობს ყარაყურტაზე პომპილა. იგი საშინელ ობობას იმდენად სწრაფად ჩაუსვამს ხოლმე ნესტარს, რომ ობობა ვერ ასწრებს გამოუშვას შხამი, ვერც გაიბას ქსელი. ყაზახეთის უდაბნოების მოსახლეობამ შავ კრაზანას უწოდა „კამბასი“ — „მზრუნველი თავი“. (საკ. დესი).

ბუნების საცალო

თბილისი ამინდებია აპარაში.

გაცხოველებული ვარჯიში მიმდინარეობს სპორტულ ბანებზე. ფიზკულტურელები გმზადებიან მომავალი შეჯიბრებისათვის.

ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკის ტბაზე ნიჩბოსანი სპორტსმენები ვარჯიშობენ კანოესა და ბაიდარკებზე...

თებერვალში აქ ჩატარდება მიმდინარე წლის პირველი შეჯიბრება, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას ეძღვნება.

• • •

სურათზე: ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის პარკის ტბაზე ნიჩბოსანი სპორტსმენები ვარჯიშობენ ბაიდარკებზე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქფოტოს ფოტოქრონიკა).

ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ე ო ვ ლ ე ნ ე ბ ი ს ს ა მ ყ ა რ ო ს ი

ტურნირის უკანასკნელი დღე

თბილისის საერთაშორისო ტურნირს თავგასუფალ ჭიდაობაში გუშინ ფინეში ჰქონდა. სპორტის სასახლეში გაიმართა დასკვნითი შეხვედრები, გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

ფინალური პაექრობიდან საინტერესო გამოდგა **ნ. ხოხაშვილისა** (მსუბუქი წონა) და ირანელ **მუჰამედ ალი მომენის** შეხვედრა. ხოხაშვილმა დასაწყისშივე ორი ილეთით ორი ქულა მიიღო, რამაც მას გამარჯვება მოუტანა. ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე **ე. გოცირიძე** (ძმელი წონა) ვერ გაუმკლავდა ბულგარეთის არაერთგზის ჩემპიონს **რ. კოსტოვს** და დამარცხდა 9 წუთსა და 57 წამში. ქვესაშუალო წონაში აქტიურად იბრძოდა **თ. ასლამაზიშვილი** და ქულებით გაიმარჯვა **უ. დიმიტროვთან** (ბულგარეთი) შეხვედრაში. **ვ. ვასილიევმა** (ქვემძიმე წონა) ქულებით ძლია **რ. მოსაშვილს.**

ტურნირმა ცხადყო საბჭოთა მოჭიდავეების უპირატესობა. მათ მოიპოვეს საპრიზო ადგილების დიდი ნაწილი. დებულებით თვითეულ წონაში ყოველ ქვეყნიდან შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი პრიზიორი, ამან საბჭოთა მოჭიდავეების საერთო მაჩვენებლებზე ერთგვარი გავლენა იქონია.

აი ისინი ვინც მოიპოვა პირველი ადგილები წონების მიხედვით: **უ. პურასტოლა** (ირანი), **გ. გოგიჩაიშვილი** (სსრ კავშირი), **ს. ქარსაულიძე** (სსრ კავშირი), **ნ. ხოხაშვილი** (სსრ კავშირი), **ი. შახბურადოვი** (სსრ კავშირი), **ა. ცხოვრებოვი** (სსრ კავშირი), **კ. ლიიკი** (სსრ კავშირი), **ვ. კოსტოვი** (ბულგარეთი).

დასასრულს მოეწყო გამარჯვებულთა პარადი. პრიზიორებს სახვიმოდ გადასცეს ფასიანი საჩუქრები.

ჩემპიონის დამარცხება

ლუგანსკში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები.

ამ დღის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონის რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების მატჩი. თბილისელმა კალათბურთელებმა ბრწყინვალე ითამაშეს და დამარცხეს მრისხანე მეტოქე 45:36.

მოსკოვის დინამოელებმა დაამარცხეს კიეველი თანაკლუბელები 59:51; სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ მოუგო კაუნასის კალათბურთელებს 56:38.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლი ივ. ი. ლენინის მუზეუმის საქართველოს ფილიალი აცხადებენ პარტიული ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ პარტიული განათლების ქსელის დაწყებით პოლიტსკოლებს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის შესწავლისას შეუძლიათ მეცადინეობანი ჩაატარონ ვ. ი. ლენინის მუზეუმში. მეცადინეობას ჩაატარებენ მუზეუმის მუშაკები.

პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში (რუსთაველის პრ., № 29, კაბინეტი № 2) უნდა წარმოადგინონ განაცხადი, სადაც ნაჩვენები იქნება ორგანიზაციის დასახელება, მეცადინეობის დღე, საათი, თემა, მსმენელთა რაოდენობა და რომელ ენაზე სურთ მეცადინეობის მოწყობა.

„მკურნალთა“ ორანჟერია

აბარაში, კურორტ ქობულეთში ერთი არაჩვეულებრივი საცდელი სადგურია. არაჩვეულებრივი იმიტომ, რომ აქ ხარობენ „მკურნალი“, „ჯადოქარი“ მცენარეები. სადგური სამკურნალო და არომატულ მცენარეთა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ეკუთვნის. წლის ყოველ დროს სადგურის მეცნიერი მუშაკები ეწევიან დიდ მუშაობას მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოტანილი მცენარეების შესწავლისა და აკლიმატიზაციისათვის. ერთ აფრიკულ მცენარეში მაგალითად, მათ აღმოაჩინეს მთელი რიგი გამაჯანსაღებელი ნივთიერებანი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა სამკურნალოდ, ხოლო ახლახან მეურნეობებს გასახარებლად გადასცეს ახალი სამკურნალო მცენარე, რომელსაც გლუვი ხტეფანია ეწოდება და ინდოეთიდან არის ჩამოტანილი. მისი ფორგლებისა და ფოთლებისაგან იღებენ ნერვულ დაავადებათა სამკურნალო პრეპარატს. **სურათზე** თქვენ ხედავთ სამკურნალო მცენარეთა საცდელი სადგურის ერთ-ერთ ორანჟერიას. მემცენარე ვალენტინა კუჩეროვსკაია ათვალიერებს ალოეს, ნორჩ ყლორტებს.

ფოტო ს. ონანოვისა.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1966 წლის 16 თებერვალს დღის 12 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **შოთა აბრამის-ძე ბადრიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ქართული პოლიტიკურ გაერთიანებათა სახელმწიფო წყობილების ისტორიიდან IX-X სს“.

16 თებერვალს დღის 12 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გივი სერგოს-ძე ნებიერიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ქართული ენის ვოკალიზმის ფონოლოგიური ანალიზი“.

16 თებერვალს დღის 2 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვიროფილ ლევანის-ძე გუჯაბაია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „უდიური ენის ნიჭური დიალექტის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი“.

16 თებერვალს დღის 2 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ალექსანდრე ტიმოთეს-ძე აბანავი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ნაწილაკები თანამედროვე ოსურ ენაში“.

18 თებერვალს დღის 2 საათზე № 18 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 8) გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **სერგო ამბაკოს-ძე კეკელია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „ჩრდილოეთ აფხაზეთის პეტროლოგიური თავისებურებანი, სტრუქტურა და მადნიანობა“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ჩუ ვნახოთ, ჩუ მოვისმინოთ

რ ა დ ი ო

2 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.15 — უკრაინული სიმღერები ბ. გმირიას შესრულებით, 10.15 — ეკრანად „ციცერონ“ ფიერცლებზე, 10.35 — არენსკის კამერული ნაწარმოებები, 11.15 — შ. თაქთაქიშვილი. სიმფონია, კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.45 — ა. ბახმუტოვას სიმღერები, 13.10 — ფრაგმენტები ყ. ყარაევის ბალეტ „შვიდი მზითევნახავიდან“, 13.40 — ბულგარული სიმღერები, 14.00 — „დირიჟორობს ე. ფიდოტოვი“ (მოსკოვი), 17.15 — ნაწყვეტები რ. გაბიჩვაძის ოპერა „ნანადან“, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიონარკვევი — „მეგობრები“, 18.10 — პოპულარული კამერული მუსიკის კონცერტი, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.30 — „ეკონომიური მეცნიერება სახალხო მეურნეობის სამსახურში“ — მიკროფონთან — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გუგუშვილი, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 —„ძილისპირული“, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი“, 22.00 — გ. ლეონიძე „ჭამპურა“ — კითხულობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, 23.30 — საესტრადო კონცერტი.

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

2 თებერვალი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „როგორია იგი, ზღვა“..., 19.20 — განცხადებები, 19.25 — გადაცემა — „მეცნიერება სოფლის მეურნეობაში“, 20.15 — კინონარკვევი, 20.35 — „რუსთაველიანა“, 21.05 — კინონარკვევი, 21.25 — „ახალი ამბები (ქართული და რუსული ენებზე), 21.45 — მხატვრული ფილმი „ქვრივი საპატარძლოები“, 22.55—გადაცემათა პროგრამა 3 თებერვლისათვის, 23.00 — ევროპის პირველობა (ციგურებით სრიალში (გადმოცემა ბრატისლავიდან).

მეცხრე არხზე — 12.00-13.30 — და 17.55-01.45 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

3 თებერვალი

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — მხატვრული ფილმი „ქვრივი საპატარძლოები“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „ერის საგანძური“. 18.15 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 18.40 — გადაცემა — — „რას ეწოდება მიკროელექტრონები“, 18.55 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა — „ფიზპაერი 1966 წელს“, 19.40 — შეხვედრა ოლიმპიტორ ალექსი მაკაბარიანთან (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.40 — კინონარკვევი, 21.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.20 — მხატვრული ფილმი „ცანონი და მუშტი“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 4 თებერვლისათვის, 23.00 — ევროპის პირველობა (ციგურებით სრიალში (გადმოცემა ბრატისლავიდან),

მე-9 არხზე — 17.55-01.45 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

კ ი ნ ო

2 თებერვალი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (მუქანე დარბაზი), გაზაფხული, ახალგაზრდა სახელობის კულტურის სახლი — **ბუბენ საცოლე.** ამირანი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), ბათუმი, სპარტაკი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ოცი წლის შემდეგ,** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი, — **საგანგებო დავალება,** საქართველო (წითელი დარბაზი) — **ბომბომოლსკი,** თბილისი — **ლედი ჰამილტონი,** კომკავშირელი — **ეგრე, მეედო!** ოქროფა — **ძია თომას ჯონი,** ნაადული — **ქორწინება იტალიურად,** კომბინატი, ციოლეის სახელობის პარკი — **ამბავი წმინდა სიყვარულისა,** ოქტომბერი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **არ არიან უცნობი ჯარისკაცები,** ეკრანი — **ტყუპთა ოინები,** სპარტაკი — **ეერევზა,** ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **დღე და საათი.**

თ ე ა ტ რ ი

2 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „გიდის ტბა“. **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ლერონტ მუსიკის საღამო. **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — „ბარეკრე, **სანკულტურის** — „ვინ ვინ ბასუხს“, — **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ენერა (№ 34 ამონ. ლის 10 ს.). **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (მოზარდ მაყურებელთა ... თოლი. თეატრის წარმოდგენა) — ... ითან ხიხო (№ 35 ამონ. დილის 10 ს.).

... ...

... ...

... ...